

საქართველო



GEORGIA

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო

SAKREBULO OF ZUGDIDI MUNICIPALITY

2100, ქ. ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას გამზ. №45

№45 Zv.Gamsakhurdia av. ZUGDIDI, 2100

ქ.ზუგდიდი

01.06.2018 წელი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №55

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგზაო ნიშნებისა და შუქნიშნის განთავსების
თაობაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართვებლობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 22 მაისის N02/5990 წერილის შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო
განკარგულება:

1. მიეცეს თანხმობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიას ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე განათავსოს საგზაო ნიშნები და ხელოვნური ბარიერი (დანართი თან ერთვის).
2. განკარგულება გადაეგზავნოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიას.
3. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზუგდიდი, რ. ლადიძის ქ. N12).

საკრებულოს თავჯდომარე



მამუკა წოწერია

დანართი

1. ი. მეუნარგიასა და თეატრის ქუჩების კვეთაზე საგზაო ნიშანი „მოძრაობა მხოლოდ მარჯვნივ“ განთავსდეს ი. მეუნარგიას ქუჩაზე;
2. ი. მეუნარგიასა და თავისუფლების ქუჩების კვეთაზე საგზაო ნიშანი „დაუთმე გზა“ განთავსდეს თავისუფლების ქუჩაზე;
3. ბუკიას ქუჩაზე ხელოვნური ბარიერის (ბორცვი) განთავსების შესახებ;
4. კ. გამსახურდიასა და თავისუფლების ქუჩების კვეთაზე განთავსდეს გამყოფი სამკუთხა ჰორიზონტალური მონიშვნის ხაზი.

